

ლუდმილა გლუხოვა

ოლეს ჰონჩარის სახელობის

დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტი

თარგმანის ტრანსფორმაციები მულტილინგვური განათლების დისკურსში (გერმანულ, ინგლისურ, რუსულ და უკრაინულ მასალებზე დაყრდნობით)

აბსტრაქტი

სტატია ეხება თარგმანის ცვალებადობის თავისებურებებს თანამედროვე მულტილინგვური განათლების დისკურსში შემდეგი ოთხი ენის მაგალითებზე დაყრდნობით: გერმანული, ინგლისური, რუსული და უკრაინული. კვლევის თეორიული ნაწილი მოიცავს ცნებების - *საგანმანათლებლო მენეჯმენტი*, *საგანმანათლებლო დისკურსი*, *თარგმანის ცვალებადობა* - განსაზღვრებასა და ნიმუშების განხილვას. თანამედროვე ადამიანის აქტივობის სხვა სფეროების მსგავსად, საგანმანათლებლო მენეჯმენტიც ექვემდებარება გლობალიზაციის პროცესს. ეს გულისხმობს, რომ გლობალიზაცია ურთიერთქმედებს მსოფლიოს საგანმანათლებლო და ინტელექტუალურ ელემენტებზე. ამ პროცესებს ადგილი აქვს მულტილინგვურ და მულტიკულტურულ გარემოში, როდესაც რთულია სხვადასხვა ენაში ზოგიერთი ცნების მნიშვნელობის ახსნა/გამოყენება. ეს ეხება საგანმანათლებლო ტერმინოლოგიასაც. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისეთი მეთოდების პოვნა, რომლებიც დაგვეხმარება, გადავიტანოთ ერთი და იმავე ლინგვისტური მნიშვნელობის ცნებები სხვადასხვა ენაზე. ამასთან, საჭიროა თარგმანის ისეთი ხერხების მოძიება, რომლებიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო მენეჯმენტის ტერმინებისა და ცნებების გააზრებას მულტილინგვურ გარემოში. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ზოგადსამეცნიერო (ინდუქციური და დედუქციური, ანალიზისა და სინთეზის, კომპარატივისტული და

დესკრიფციული კვლევის მეთოდები) და სპეციფიკური მეთოდი (სალექსიკონო განსაზღვრებების ანალიზი, კონტექსტური ანალიზი). მივედით დასკვნამდე, რომ თარგმანის ტრანსფორმაციის სხვადასხვა ტიპი, კერძოდ - ტრანსკრიფცია, ტრანსლიტერაცია, კოპირება და მნიშვნელობის განამარტება - ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მულტილინგვური განათლების დისკურსში. რომელიმე კონკრეტული თარგმანის ტიპის არჩევა დამოკიდებულია განსახილველი ენების ინტრალინგვისტურ მახასიათებლებზე. არსებითი განსხვავება თარგმანის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებაში შეიძლება აიხსნას ტექნიკური თარგმანისა და სლავური ენების სინთეზური ბუნების დაკავშირების სირთულით.

საკვანძო სიტყვები: განათლების მენეჯმენტი, საგანმანათლებლო დისკურსი, თარგმანის ტრანსფორმაცია, წყარო ენა, სამიზნე ენა.

შესავალი

დღესდღეობით შეუძლებელია, წარმოიდგინოთ წარმატებული პიროვნება შესაბამისი განათლების დონის გარეშე. თანამედროვე საზოგადოებას ხანდახან „ცოდნის სოციუმსაც“ უწოდებენ, ეს არის „საზოგადოება, სავსე მრავალფეროვნებითა და შესაძლებლობებით“ (იუნესკო, 2005; გვ.17), სადაც „ცოდნას ერთმანეთს უზიარებენ და ავრცელებენ, სადაც ცოდნის გადაცემა სწავლის პროცესში უმნიშვნელოვანესია“ (მოკირი, 2015). საჭირო არაა განათლების მნიშვნელობაზე ბევრი ვისაუბროთ. განათლება შეიძლება შევადაროთ ID-ბარათს, რომელსაც გამოიყენებ ცოდნისა და ინტე-

ლექტუალური სიმდიდრის უსაზღვრო სამყაროში.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს საზღვრები ინტერკულტურული და კროსკულტურული კომუნიკაციის თვალსაზრისით, რომელიც დღეს უკვე ნორმაა და არა გამონაკლისი. უფრო მეტიც, ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება და ურთიერთგაზიარების შესაძლებლობა მართლაც რომ აფართოებს ადამიანის მსოფლმხედველობას და ზრდის მის ინტელექტს.

როგორც არ უნდა იყოს, ეს შესაძლებლობები მოიცავს ვალდებუ-

ლებებსაც, რომლებსაც ადამიანი აწყდება. აღნიშნული ვალდებულებების შესწავლა, უპირველესად, მიმართულია მულტილინგვური და მულტიკულტურულ განათლების სფეროსადმი, აქედან გამომდინარე, ამ საკითხს წინამდებარე სტატიაში უფრო დაწვრილებით არ განვიხილავთ. მიუხედავად ამისა, სტატიაში გარკვეულწილად გამოყენებულია მულტილინგვური მიდგომა, კერძოდ, საგანმანათლებლო მენეჯმენტის სფეროს კვლევის თვალსაზრისით. თანამედროვე ადამიანის აქტივობის სხვადასხვა სფეროს მსგავსად, საგანმანათლებლო მენეჯმენტიც ექვემდებარება გლობალიზაციის პროცესს. ეს გულისხმობს, რომ გლობალიზაცია ურთიერთქმედებს მსოფლიოს საგანმანათლებლო და ინტელექტუალურ ელემენტებზე (ვუდი, 2015). იგივე ითქმის ინტერნაციონალიზაციის პროცესზეც, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ინდივიდების, ჯგუფებისა და ინსტიტუციების წინასწარ განზრახულ ქმედებებზე, რომლებიც მიმართულია საზღვრების გადაკვეთისკენ საგანმანათლებლო და

ინტელექტუალური სარგებლის ძიების მიზნით (მიჩელი, ნილსენი, 2012). ეს პროცესები მოქმედებს მულტილინგვურ და მულტიკულტურულ გარემოში, როდესაც რთულდება სხვადასხვა ენაში ზოგიერთი ცნების, მათ შორის - საგანმანათლებლო ტერმინოლოგიის მნიშვნელობის ახსნა / გამოყენება.

სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი ისეთი მეთოდების პოვნა, რომლებიც დაგვეხმარება, გადავიტანოთ ერთი და იმავე ლინგვისტური მნიშვნელობის ცნებები სხვადასხვა ენაზე. ასევე მნიშვნელოვანია, თარგმანის ისეთი ხერხების მოძიება, რომლებიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო მენეჯმენტის ტერმინებისა და ცნებების გააზრებას მულტილინგვურ გარემოში.

თეორია

არაერთი ნაშრომი მიემდგვნა განათლების მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი სფეროს ანალიზსა და მისი თავისებურებების აღწერას (დანილენკო, 2006, ივანოვი, პევზნერი და სხვ., 2010, დეკერი, 1995, გუდენაფი, 1982). მკვლევრები თავიანთ

ნაშრომებში განათლების მენეჯმენტს განიხილავენ სხვადასხვა კუთხით, მასში განასხვავებენ პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და მარკეტინგის ელემენტებს.

თეორიულ ლიტერატურაში განათლების მენეჯმენტი განსაზღვრულია, როგორც „პროცესი და სისტემა, რომელიც ამოძრავებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომელთა მიზანია, იყოს კონკურენტუნარიანი განათლების სერვისის კუთხით გარე და შიდა ბაზარზე. აღნიშნული კონკურენტუნარიანობა გულისხმობს ასევე საგანმანათლებლო პროცესისა და სპეციალისტების მომზადების ხარისხს, პროფესიული ცოდნის მაღალ დონეს, უნარებსა და კომპეტენციებს, ფუნდამენტალურ სოციალურ მდგარდობასა და მაღალ მორალურ ნიშან-თვისებებს (გრაუმანი, კიკი და სხვ., 2004, გვ.65). ეს არის ინტერაქციული პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ, ორგანიზაციულ და ბიზნეს საჭიროებებს, ქმნის საგანმანათლებლო სერვისისათვის წარმატებულ სფეროს საბაზრო ეკონომიკის გათვალის-

წინებით და შესწევს არასტანდარტულ გარემოებებში ოპერირების უნარი (დეკერი, 1995).

უფრო მეტიც, განათლების მენეჯმენტი არის სამეცნიერო ცოდნის ინტერდისციპლინარული სფერო, რომლის მიზანია საგანმანათლებლო კანონების, პრინციპების, ფუნქციებისა და მეთოდების კვლევა. აღნიშნული მეთოდები ეფუძება ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მეცნიერებების, ეკონომიკისა და ზოგადი მენეჯმენტის თეორიის სინთეზს (ბარანოვსკი, 2008). ეს თავისებურება აიხსნება იმ ფაქტით, რომ საგანმანათლებლო მენეჯმენტის *პედაგოგიური კომპონენტი* მოიცავს კურსის შინაარსსა და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის მეთოდებს, ასევე - გულისხმობს პოპულარიზაციასა და კოლექტიური და ინდივიდუალური ცოდნის ფორმირებას. ხოლო ამის საპირისპიროდ, *ფინანსური კომპონენტი* დაკავშირებულია პროცესის რენტაბელურ, მდგრად მენეჯმენტთან, მის ორგანიზებასთან, მარკეტინგსა და საგანმანათლებლო სერვისების ბაზარზე

ადგილის დაკავებასთან (პეტრიაკოვი, 2010).

ტერმინი *საგანმანათლებლო დისკურსი* ტრადიციულად განისაზღვრება, როგორც ინსტიტუციონალური დისკურსის ერთ-ერთი ტიპი. მისი სპეციფიკა დაკავშირებულია *სოციალურ ინსტიტუციასთან*, რომელსაც ხალხი უფრო კარგად იცნობს და ამ ტერმინს გამოიყენებენ ყოველდღიურ სასაუბრო ენაშიც (კარასიკი, 2000, გვ. 8). როდესაც ჩვენ, კვლევის ფარგლებში, განვიხილავდით საგანმანათლებლო დისკურსს, აღმოვაჩინეთ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერი ტიპი გააზრებულია სოციალური ინსტიტუციის ცნების ქვეშ.

აღსანიშნავია, რომ ცნება „ინსტიტუცია“ არის კულტურულად სპეციფიკური, შრომის განაწილების სხვადასხვა აქტივობის პირობითი სისტემა და მიზნად ისახავს საზოგადოების მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებას. ამგვარად, ინსტიტუციონალური დისკურსის ეს ძირითადი მახასიათებლები წარმოადგენენ იმ ელემენტებს, რომლებიც ლაგდებიან

ქრონოტიპულად. ინსტიტუციონალური დისკურსის მიზანია სოციალური ინსტიტუციის პირობითად ორგანიზება, სტრატეგიებისა და ღირებულებების განსაზღვრა (საუბრის შედეგი ეხება ტიპურ სიტუაციებს), ჟანრებისა და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული სპეციფიკური მოვლენების კლასიფიკაცია - სახელები, ანდაზები, ტექსტები და სიტუაციები (ოლემკოვი, 2006).

საგანმანათლებლო დისკურსის კვლევის ფარგლებში თეორიული მასალის ანალიზის (კარასიკი, 2002, კამკინი, 2003, შილიხინა, 2013) შედეგად შეგვიძლია საგანმანათლებლო დისკურსი განვსაზღვროთ, როგორც კომუნიკაციის სფერო, რომელიც უკავშირდება ადამიანურ ქმედებებს, კერძოდ, მეცნიერული ცოდნის მიღებასა და გარდაქმნას. აღნიშნული ქმედებები ფართოდაა წარმოდგენილი სხვადასხვა ჟანრში: რეკლამირება, ბუკლეტები, სტატიები საუნივერსიტეტო ჟურნალებისა და პერიოდული გამოცემებისთვის, ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ვებსაიტები, ინტერაქციული უნივერსიტეტთა-

შორისი კომუნიკაცია ინტერნეტის საშუალებით და სხვ.

წინამდებარე სტატიის მიზანია თარგმანის ტრანსფორმაციის სახეების განსაზღვრა თანამედროვე საგანმანათლებლო დისკურსში ოთხი ენის მაგალითზე (გერმანული, ინგლისური, რუსული, უკრაინული).

სტატიაში დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა, გადავჭრათ რამდენიმე ამოცანა:

- გამოვყოთ საგანმანათლებლო მენეჯმენტის ცნებასთან დაკავშირებული ტერმინები;
- გადავიტანოთ აღნიშნული ტერმინების მნიშვნელობა მოცემულ ოთხ ენაში (გერმანული, ინგლისური, რუსული და უკრაინული) და შევადაროთ ისინი ერთმანეთს;
- ვიპოვოთ გერმანულიდან ინგლისურად, რუსულად და უკრაინულად თარგმნის პროცესში წარმოქმნილი ტრანსფორმაციები;
- განვმარტოთ განსხვავებული ტრანსფორმაციების არჩევის მიზეზი ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნის პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ სტატიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ცნების *თარგმანის ტრანსფორმაციის* განსაზღვრას. ვ.ნ. კომისაროვი აღნიშნულ ცნებას განსაზღვრავს, როგორც ცვალებადობის ტიპს, რომელიც გვეხმარება ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნის პროცესში. თარგმანის ცვალებადობას ადგილი აქვს მხოლოდ ისეთი ენობრივი ერთეულების თარგმნის დროს, რომელთაც გააჩნიათ გამოხატვისა და მნიშვნელობის საერთო სიბრტყე (კომისაროვი, 1990, გვ.172). ლ. ს. ბარხუდაროვი, თავის მხრივ, მიუთითებს, რომ *თარგმანის ცვალებადობა* არის ინტერლინგვისტური ტრანსფორმაცია, აზრის კიდევ ერთხელ გამოხატვა ან ტექსტის პერიფრაზირება, რომელიც მიზნად ისახავს თარგმანში ორიგინალის ეკვივალენტობის მიღწევას (ბარხუდაროვი, 1975, გვ.119).

ლინგვისტების უმრავლესობა ეთანხმება იმ ფაქტს, რომ თარგმანის დროს არსებულ ცვლილებებს აქვთ პირობითი ბუნება, ვინაიდან აღნიშნული ტრანსფორმაციები არ აღიქმება თარგმნის გამიზნულ ქმედებად ,

არამედ ეს შეიძლება ჩაითვალოს, როგორც „პოსტ ფაქტუმ“, ვინაიდან თვითონ თარგმნის პროცესი უშუალო დაკვირვებისათვის ხელმიუწვდომელია (ზარხუდაროვი, 1975, გაკი, 1988, კომისაროვი, 1990, შვეიცერი, 1988).

ლინგვისტური ლიტერატურის მიმოხილვამ გვაჩვენა, რომ არსებობს თარგმანის ტრანსფორმაციათა კლასიფიკაციის უამრავი მიდგომა. კვლევაში გამოვიყენეთ კომისაროვის მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაცია, გამომდინარე მისი სრულყოფილი და საკითხის დეტალური აღწერილობიდან. ვ.ნ. კომისაროვი გამოყოფს თარგმანის ტრანსფორმირების ექვს ჯგუფს (კომისაროვი, 1980):

- *ტრანსკრიფცია* არის ლექსიკური ერთეულების თარგმნა წყარო ენიდან სამიზნე ენაზე შესაბამისი ბგერითი ფორმით გამოხატვით;
- *ტრანსლიტერაცია* არის ლექსიკური ერთეულების თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე სათანადო გრაფიკული ფორმით გამოხატვით;
- *კოპირება* არის თარგმნის ერთ-ერთი მეთოდი, როდესაც ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნის დროს ხდება

წყარო ენის კომპონენტების (მორფემებისა და სიტყვების) გადატანა სამიზნე ენაში მათი ლექსიკური ანალოგიებით;

- *ლექსიკურ-სემანტიკური მონაცვლეობა: კონკრეტიზაცია*, რომელიც მდგომარეობს სიტყვის ან სიტყვათა კომბინაციის გადატანაში, როდესაც სიტყვას ერთ ენაში გააჩნია უფრო ფართო მნიშვნელობა, ხოლო მეორე ენაზე თარგმნის დროს მისი მნიშვნელობა ვიწროვდება. *გენერალიზაცია* არის კონკრეტიზაციის საპირისპირო პროცესი, როდესაც ერთ ენაში სიტყვის ვიწრო მნიშვნელობა მეორე ენაზე თარგმნის დროს უფრო ფართო მნიშვნელობას იღებს. *მოდულაცია* არის სიტყვის ან სიტყვათა კომბინაციის შეცვლის პროცესი წყარო ენიდან სამიზნე ენის ისეთ ერთეულზე, რომლის მნიშვნელობაც შექმნილია წყარო ენის ლექსიკური ერთეულის საშუალებით;
- *გრამატიკული ტრანსფორმაცია* არის პროცესი, როდესაც წყარო ენის გრამატიკული ერთეული იცვლება სამიზნე ენის გრამატიკული

ერთეულით, რომელსაც გააჩნია სხვა გრამატიკული მნიშვნელობა.

- რთული ლექსიკურ-გრამატიკული ტრანსფორმაციები: *ანტონიმური თარგმანი* არის ენობრივი ტრანსფორმაცია, როდესაც წყარო ენის პოზიტიური ენობრივი ფორმა იცვლება სამიზნე ენის ნეგატიური ფორმით, ან პირიქით; *ექსპლიკაცია (დესკრიპტული თარგმანი)* გულისხმობს წყარო ენის ლექსიკური ერთეულის შეცვლას თარგმნის დროს სამიზნე ენაში სიტყვათა კომბინაციით, რომელიც ლექსიკურ ერთეულს ასახავს უფრო სრულყოფილად; *კომპენსაცია* არის თარგმანის ცვალებადობის პროცესში მნიშვნელობების ისეთი ელემენტების გამოხატვა, რომლებიც სამიზნე ენაზე თარგმნის პროცესში დაიკარგა სხვა მნიშვნელობებთან ერთად (კომისაროვი, 1980).

თითოეული განხილული ჯგუფი მოიცავს ქვეჯგუფებს, რაც ლინგვისტებს აძლევს თარგმანის პროცესის უფრო დაწვრილებით აღწერის საშუალებას.

მეთოდი

ჩვენი კვლევის მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ რამდენიმე ზოგად მეცნიერული მეთოდი, ესენია:

- 1) ინდუქციური და დედუქციური მეთოდები. ჩვენ გავაანალიზეთ ტერმინოლოგიის თარგმნის ძირითადი პრინციპები თანამედროვე მულტილინგვურ დისკურსში (ინდუქციის მეთოდი) და ამის საფუძველზე მივედით საკითხის შეჯამებამდე (დედუქციის მეთოდი);
- 2) სინთეზისა და ანალიზის მეთოდი, რომელიც დაგვებმარა, გამოგვეყო თარგმნის პროცესში მნიშვნელობების ცვალებადობის ტიპები და გაგვეერთიანებინა შემდეგ ისინი ერთ ზოგად სისტემაში;
- 3) კომპარატივისტულმა მეთოდმა მოგვცა მსგავსი და განსხვავებული მახასიათებლების იდენტიფიცირების შესაძლებლობა თანამედროვე საგანმანათლებლო მენეჯმენტის ტერმინების ოთხ ენაზე თარგმანის მაგალითებზე დაყრდნობით

(გერმანული, ინგლისური, რუსული, უკრაინული);

- 4) დესკრიპციული მეთოდი გამოვიყენეთ კვლევის შედეგების ანალიზისა და აღწერის პროცესში.

დისკუსია და შედეგები

წარმოდგენილი კვლევა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა.

პირველ ეტაპზე ჩვენ გავაანალიზეთ დაახლოებით ოცი სახელმძღვანელო (ბარანოვსკი, 2008, დანილენკო, 2006, ივანოვი, პევზნერი და სხვ., 2010, 0, დეკერი, 1995, გუდენაფი, 1982, გრაუმანი, კიკი და სხვ., 2004) განათლების მენეჯმენტის შესახებ ოთხ ენაზე (ინგლისური, გერმანული, რუსული და უკრაინული). წარმოდგენილი ტექსტებიდან ჩვენ გამოვყავით ოთხ ენაზე არსებული იდენტური ტერმინების 60 ჯგუფი (საერთო ჯამში - 240 ტერმინი). ლექსიკონი სახელწოდებით *“Schul-und Bildungsmanagement: 100 Aktuelle Begriffe”* (გრაუმანი, კიკი და სხვ., 2004) ავიღეთ, როგორც საბაზისო სახელმძღვანელო, რადგან, ჩვენი შეხედულებით, მასში მოცემულია განათლების მენეჯმენტში

არსებული ყველა ტერმინი. მოგვიანებით, შერჩეული ტერმინები მოვიძიეთ განათლების მენეჯმენტის ინგლისურ, რუსულ და უკრაინულ სახელმძღვანელოებში.

მეორე ეტაპზე, ლექსიკონში არსებული დეფინიციების კონტექსტური ანალიზისთვის ჩვენ ვიპოვეთ თითოეული ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა და მათი მახასიათებლები.

საბოლოოდ, ჩვენ განვსაზღვრეთ თარგმანის დროს განხორციელებული ცვლილებების ფორმა და ჩამოვყალიბეთ ჩვენი დასკვნა.

ფაქტობრივი მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ საგანმანათლებლო დისკურსში არსებული თარგმანის ტრანსფორმაციის ყველაზე გავრცელებული ტერმინოლოგიებია: ტრანსკრიფცია, ტრანსლიტერაცია და კოპირება. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თარგმანის ტრანსფორმაციას საკმაოდ პირობითი ხასიათი აქვს, სწორედ ამიტომ, გაცილებით რთულია განვსაზღვროთ თარგმანის დროს განხორციელებული ცვლილების ხასიათი მისი „თავდაპირველი“ ფორმით. ზოგიერთ

შემთხვევაში ჩვენ შევხვდით თარგმანის რამდენიმე სახის ცვლილების კომბინაციას.

ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია

ფაქტობრივი მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია თანამედროვე მულტილინგვური განათლების ტერმინების თარგმნის დროს განხორციელებული ცვლილებების ყველაზე გავრცელებული ფორმებია. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს ორი თარგმანის განსხვავებულ და დამოუკიდებელ სახეობებს წარმოადგენენ. თუმცა, სტატიაში ჩვენ მათი განცალკევება ვერ მოავახდინეთ, რადგან მათ შორის სხვაობა გადამწყვეტი მნიშვნელობის არ არის ჩვენი კვლევის შემთხვევაში. სწორედ ამიტომ, ჩვენ ამ ორ სახეობას ერთ ჯგუფში მოვიაზრებთ და ერთდროულად ვაანალიზებთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია ლექსიკური ერთეულის თარგმნის

ისეთი გზებია, როდესაც მთარგმნელი მის ფორმირებას სამიზნე ენის ასოების საშუალებით ახდენს. თუ ჩვენ სიტყვის ტრანსკრიფციას გავაკეთებთ, ჩვენ ვქმნით უცხო სიტყვის ენობრივ ფორმას; თუ მის ტრანსლიტერაციას ვახდენთ, ჩვენ სიტყვის გრაფიკულ ფორმას ვქმნით (კომისაროვი, 1990).

უნდა აღვნიშნოთ, რომ წყარო ენა (წ ე) ჩვენს შემთხვევაში არის გერმანული, ხოლო სამიზნე ენებია ინგლისური (ს ე 1), რუსული (ს ე 2) და უკრაინული (ს ე 3). ერთ ჯგუფში არსებული ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა იდენტურია ყველა ჩვენს მიერ გაანალიზებულ ენაზე.

ფაქტობრივი მასალის ანალიზმა საშუალება მოგვცა ტერმინების 33 ჯგუფი (საერთო ჯამში 132 ტერმინი) ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის ჯგუფში შეგვეყვანა. ზოგიერთი მათგანი ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის კომბინაციითაა მიღებული, მაგალითად (იხ. ცხრილი 1):

	გერმანული (წე)	ინგლისური (ს ე 1)	რუსული (ს ე 2)	უკრაინული (ს ე 3)
1	Akkreditierung	accreditation	аккредитация	акредитація
2	Bachelor	Bachelor	бакалавр	бакалавр
3	Benchmarking	benchmarking	бенчмаркинг	бенчмаркінг
4	Coaching	coaching	коучинг	коучінг
5	Implementation	implementation	имплементация	імплементация
6	Internationalisierung	internationalization	интернационализация	інтернаціоналізація
7	Kompetenz	competence	компетенция	компетенція
8	Mobilität	mobility	мобильность	мобільність
9	Mentoring	mentoring	менторинг	менторінг
10	Moderation	moderation	модерация	модерація
11	Modernization	modernization	модернизация	модернізація
12	Zertifikation	certification	сертификация	сертифікація
13	Monitoring	monitoring	мониторинг	моніторинг
14	Supervision	supervision	супервизия	супервізія

ცხრილი 1

როგორც ცხრილში ვხედავთ, ტერმინებს თითქმის იდენტური ხმოვანი და წერილობითი სახე აქვს. სხვაობა მხოლოდ თითოეული სამიზნე ენის ორთოგრაფიულ თავისებურებებშია. ჩვენი აზრით, ასეთი მსგავსება მნიშვნელოვნად აადვილებს განათლების მენეჯმენტის ტერმინების აღქმას განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებისთვის მულტილინგვურ გარემოში. ისტორიულად, ეს მსგავსება შეიძლება აიხსნას ტერმინის ბერძნული

ან ლათინური წარმომავლობით. დროის თვალსაზრისით მათი ასიმილაცია მოხდა თითოეული ენის შემთხვევაში თავისებურად. შეიძლება ვივარაუდოთ რომ ჩამოყალიბდა ისეთი ფორმით, როგორსაც დღეს ვხედავთ.

თუმცა, ფაქტობრივი მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ზოგჯერ ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია თარგმანის სხვა ფორმებთანაა კომბინირებული. მაგალითი იხილეთ მომდევნო ცხრილში (ცხრილი 2):

	გერმანული (წ ე)	ინგლისური(ს ე 1)	რუსული (ს ე 2)	უკრაინული(ს ე 3)
1	Kerncurriculum	core curriculum	базисный учебный план	базисний навчальний план
2	Netzwerke	network	сеть	сітка
3	Qualitätsmanagement	quality management	менеджмент качества	менеджмент якості
4	Teamentwicklung	team development	развитие школы	розвиток школи

ცხრილი 2

მეორე ცხრილში წარმოდგენილი ტერმინები განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ისინი სამი ან ხანდახან ოთხი ტიპის თარგმნის ტრანსფორმაციას მოიცავენ.

მეორე ცხრილის პირველ ხაზზე, მაგალითად, თარგმანის სამი ტიპის ტრანსფორმაციის კომბინაცია გვხვდება. სიტყვა *Curriculum* გერმანულად არის ტრანსკრიფციის ნათელი მაგალითი, რადგან ის ისევე ისმის, როგორც პირველ სამიზნე ენაზე, მაშინ, როდესაც უკრაინული და რუსული თარგმანი არის მნიშვნელობის *ექსპლიკაციის* მაგალითი. სიტყვა *Kern* ითარგმნა *ს ა მ ი ზ ნ ე ე ნ ე ბ ზ ე*, როგორც კოპირება. ასე რომ, ამ შემთხვევაში ტრანსლიტერაციისა და ტრანსკრიფციის კომბინაციამ მოგვცა *ექსპლიკაცია* (წყარო ენიდან სამიზნე ენაზე ტერმინის თარგმანი მოხდა კომბინაციის საშუ-

ალებით, რომელიც გვამღევეს საკითხის ღრმა ახსნას) და კოპირება (ლექსიკური ერთეულის თარგმანი წყარო ენიდან კომპონენტების გადანაცვლებით (სიტყვების მორფემების საშუალებით) ლექსიკური კორესპონდენციით სამიზნე ენაზე).

ტერმინების იმავე კომბინაციას ვხვდებით მეოთხე ხაზზე მეორე ცხრილში. სიტყვა *Team* (წყარო ე ნ ი დ ა ნ) წარმოდგენილია პირველ სამიზნე ენაზე ტრანსკრიფციის სახით. მაშინ, როდესაც მეორე და მესამე სამიზნე ენებში ექსპლიკაციის მემვეობითაა წარმოდგენილი. სიტყვა *Entwicklung* სამივე ენაზე კოპირების საშუალებითაა წარმოდგენილი.

მესამე ხაზში ასევე თვალნათელია თარგმანის დროს განხორციელებული ცვლილების სამი ტიპის კომბინაცია. ამ შემთხვევაში ტრანსკრიფცია და

ტრანსლიტერაცია (*Management* (წ ე) → *management* (ს ე 1) კომბინირებულია კოპირებასთან (*Qualität* (წ ე) → *quality* (ს ე 1). ასევე შეგვიძლია დავაკვირდეთ სიტყვის წყობაში ცვლილებას, რაც შესაძლოა აიხსნას განსხვავებული ენათა ჯგუფების შიდალინგვისტური განსხვავებებით (*quality management* (ს ე 1) → *менеджмент качества* (ს ე 2) → *менеджмент якості* (ს ე 3).

მეორე ცხრილის მეორე ხაზში შეგვიძლია დავაკვირდეთ ტრანსკრიფციის და ტრანსლიტერაციის (*Netzwerke* → *network*) კომბინაციას კოპირებასთან (*network* → *сеть* → *сітка*).

თარგმანის ტრანსფორმაციის ასეთი კომბინაცია შესაძლოა აიხსნას იმ ფაქტით, რომ წყარო ენის ზოგიერთ ტერმინს არ მოეძებნება ანალოგი ან ასოციაცია სამიზნე ენაზე. შესაძლოა, სწორედ ამიტომ არის საკმაოდ რთული მკითხველისთვის, ჩაწვდეს ტერმინის მნიშვნელობას სამიზნე ენაზე. აქედან

გამომდინარე, თარგმანის ცვლილების სხვა მეთოდები გამოიყენება,

კოპირება

ფაქტობრივი მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ თარგმანის დროს გამოყენებული ცვლილების მეორე ჯგუფი (კოპირება) ისეთივე ხშირია, როგორც პირველი მათგანი (ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია). ჩვენ საერთო ჯამში 108 ტერმინი 27 ჯგუფში გადავანაწილეთ.

ვ.ნ. კომისაროვის მიხედვით, კოპირება არის თარგმანის ისეთი მეთოდი, რომლის საშუალებითაც წყარო ენიდან მისი კომპონენტების გადაადგილება (სიტყვის მორფემები) ხდება სამიზნე ენაზე შესაბამისი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით (კომისაროვი, 1990).

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ზოგიერთი ტერმინი მხოლოდ კოპირების გამოყენებით იქნა თარგმნილი, როგორც მესამე ცხრილშია წარმოდგენილი:

	გერმანული (წ ე)	ინგლისური (ს ე 1)	რუსული (ს ე 2)	უკრაინული (ს ე 3)
1	Bildungsmanagement	educational management	образовательный менеджмент	освітній менеджмент
2	Globale Lernen	global learning	глобальное обучение	глобальна освіта

3	Bildungsstandards	education standards	образовательные стандарты	освітні стандарти
4	Karrierperspektiven	career prospects	карьерные перспективы	кар'єрні перспективи
5	Schlüsselfunktion	key function	ключевая функция	ключова функція
6	Schlüsselkompetenz	key competence	ключевая компетенция	ключова компетенція
7	Sozialkompetenz	social competence	социальная компетенция	соціальна компетенція
8	Schulmanagement	school management	школьный менеджмент	шкільний менеджмент
9	Strategische Planung	strategic planning	стратегическое планирование	стратегічне планування

ცხრილი 3

კვლევის პროცესში ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ კოპირება ხშირად არის წარმოდგენილი თარგმანის დროს განხორციელებული ცვლილების სხვა სახეობებთან კომბინაციაში. მეორე ცხრილში ჩვენ უკვე შევხვდით კოპირების კომბინაციას თარგმანის სხვა სახეებთან, როგორცაა ტრანსლიტერაცია და თარგმანი.

ფაქტობრივი მასალის ანალიზი გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ კოპირება შესაძლოა შერწყმული იყოს თარგმანის სხვა ისეთ სახეობებთან, როგორცაა შინაარსის ექსპლიკაცია. ზოგიერთი მათგანი წარმოდგენილია მეოთხე ცხრილში.

	გერმანული (წ ე)	ინგლისური (ს ე 1)	რუსული (ს ე 2)	უკრაინული (ს ე 3)
1	Creditpoint-System	credit point system	система кредитных часов	система кредитних годин
2	Interdisziplinarität	interdisciplinarity	междисциплинарная связь	міждисциплінарний зв'язок

3	Schulentwicklung	school development	развитие школы	розвиток школи
4	Berufliche Orientierung	career guidance	профессиональная ориентация	професійна орієнтація
5	Wissengesellschaft	knowledge society	общество, основанное на знаниях	суспільство, що базується на знанні

ცხრილი 4

ხაზები 1, 2 და 3 განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საინტერესოა, რომ ტერმინები *Creditpoint-System* (წ ე), *Interdisziplinarität* (ს ე) და *Schulentwicklung* (სე) პირველ სამიზნე ენაზე ითარგმნა კოპირების ტექნიკის გამოყენებით მაშინ, როდესაც მისი თარგმანი მეორე და მესამე სამიზნე ენებზე სიტყვათა წყობის შეცვლის გზით მოხდა.

ეს ფენომენი შეიძლება აიხსნას ტექნიკური თარგმანის მახასიათებლებით, რაც დაკავშირებულია სლავური ენების ბუნებასთან. ინგლისური და გერმანული ენათა გერმანიკულ ჯგუფს მიეკუთვნებიან, მაშინ, როდესაც რუსული და უკრაინული სლავურ ენათა ჯგუფში ერთიანდება.

მეოთხე და მეხუთე ხაზები გვიჩვენებს კოპირების კომბინაციას და მნიშვნელობის ექსპლიკაციას. ასე რომ,

ტერმინი *Wissengesellschaft* (წე) გამოხატულია კოპირების საშუალებით პირველ სამიზნე ენაზე, მაშინ, როდესაც მეორე და მესამე სამიზნე ენებზე ის მნიშვნელობის ექსპლიკაციის საშუალებითაა გამოხატული. ჩვენი აზრით, ესეც ტექნიკური თარგმანის თავისებურებებს უკავშირდება.

დასკვნა

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ განათლების მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება, საკმაოდ გავრცელებული ფენომენია. სწორედ ამიტომ. მისი საკვანძო ტერმინების თარგმნა განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე.

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ თარგმნის დროს განხორციელებული ცვლილებების ისეთი ფორმები, როგორებიცაა: ტრანსკრიფცია, ტრანსლიტერაცია, კო-

პირება და მნიშვნელობის ექსპლიკაცია - ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მულტილინგვურ საგანმანათლებლო დისკურსში. თარგმანის რომელიმე კონკრეტული ტრანსფორმაციის ფორმის არჩევა დამოკიდებულია გასაანალიზებელი ენის შიდალინგვისტურ მახასიათებლებზე. მთავარი განსხვავება თარგმანის ტრანსფორმაციის ტენიკის გამოყენებაში აიხსნება ტექნიკური

თარგმანის მახასიათებლებით, რაც დაკავშირებულია სლავური ენების სინთეზურ ბუნებასთან : ინგლისური და გერმანული ანალიტიკური ენებია და ენათა გერმანიკულ ჯგუფს განეკუთვნება, მაშინ როდესაც რუსული და უკრაინული სინთეზური ენებია და ენათა სლავურ ჯგუფს მიეკუთვნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარანოვსკი, 2008 - Барановский А. И. Образовательный менеджмент: актуальные проблемы становления / А. И. Барановский // Современные наукоемкие технологии. – 2008. – №1. – С. 25–28.
- ბარხუდაროვი, 1975 - Бархударов Л.С. Язык и перевод / Л. С. Бархударов. – М.: Международные отношения, 1975 – 240 с.
- გაკი, 1988 - Гак В. Г. Типология контекстуальных языковых преобразований при переводе / В. Г. Гак // Текст и перевод. – М.: Наука, 1988. – С. 63-75.
- დანილენკო, 2006 - Даниленко Л. Інноваційний освітній менеджмент. Навчальний посібник / Л. Даниленко. – К.: Главник, 2006. – 144с.
- კარასიკი, 2000 - Карасик В.И. О типах дискурса / В.И. Карасик // Языковая личность: институциональный и персональный дискурс: сб. научн. тр. – Волгоград: Перемена, 2000. – С. 5-20.
- კარასიკი, 2002 - Карасик В.И. Языковой круг: личность, концепты, дискурс / В.И. Карасик. – Волгоград: Перемена, 2002. – 477 с.
- კაშკინი, 2003 - Кашкин В.Б. Введение в теорию коммуникации / В.Б. Кашкин. – Воронеж: ВГУ, 2003.
- კომისაროვი, 1980 - Комиссаров В. Н. Лингвистика перевода / В. Н. Комиссаров. – М.: Международные отношения, 1980. – 168 с.
- კომისაროვი, 1990 - Комиссаров В.Н. Теория перевода (лингвистические аспекты) / В. Н. Комиссаров. – М.: Высшая школа, 1990. – 253 с.
- ოვანოვი, პევზნერი და სხვ., 2010 - Образовательный менеджмент: учебное пособие для магистратуры по направлению «Педагогика» / Иванов Е.В., Певзнер М.Н., Ветряков П.А., Федотова Г.А., Шерайзина Р.М., Ширин А.Г. / сост. и общ. ред. Иванова Е.В., Певзнера М.Н. – Великий Новгород, 2010.

- ოლეშკოვი, 2006 - Олешков, М. Ю. Основные параметры модели профессиональной коммуникации (на примере дидактического дискурса) / М. Ю. Олешков // Социокультурные проблемы в образовании. Межвуз. сб. науч. трудов / под. ред. А. А. Вербицкого, Н. В. Жуковой. М.: РИЦ МГОПУ им. М.А. Шолохова, 2006.
- პეტრიაკოვი, 2010 - Петряков П., Певзнер М. Научные подходы к образовательному менеджменту как междисциплинарной области знаний и практике управления образовательными системами // Hochschule und Schule in der internationalen Diskussion: Chancen und Risiken neuer Entwicklungen. – Baltmannsweiler, 2010.
- შვეიცერი, 1988 - Швейцер А. Д. Теория перевода / А. Д. Швейцер. – М.: Наука, 1988. – 216 с.
- შილიხინა, 2013 - Шилихина К.М. Ирония в академическом дискурсе / К.М. Шилихина // Вестник ВГУ. Серия: Филология. Журналистика. – 2013. – №1. – С. 115-118.
- ბოლტონი, 2004 - Bolton K. World Englishes / K. Bolton // Davies A., Elder C. (Eds.) The Handbook of Applied Linguistics. – Malden, MA: Blackwell, 2004. – P. 367-396
- დეკერი, 1995 - Decker F. Bildungsmanagement für eine neue Praxis / F. Decker. – München, 1995.
- გუდენაფი, 1982 - Goodenough D. R. Cognitive styles: essence and origins field dependence and field independence / D.R. Goodenough. – N.-Y., 1982. – P. 12–33.
- მოკირი, 2015 - Mokyr J. The Knowledge Society: Theoretical and Historical Underpinnings // Available at: <http://faculty.wcas.northwestern.edu/~jmokyr/Unitednations.pdf>.
- გრაუმანი, კიკი და სხვ., 2004 - Schul-und Bildungsmanagement: 100 Aktuelle Begriffe / O. Graumann, R.W. Keck, M. Pewsner, A. Rakhkochkine, A. Schirin. – Hildesheim: Universitätsverlag Hildesheim, 2004. – 242 S.
- ოუნესკო, 2005 - UNESCO World report “Towards Knowledge Societies”. – Paris: UNESCO Publishing, 2005. – 226 p.
- ვუდი, 2015 - Wood V.R. Globalization and Higher Education: Eight Common Perceptions From University Leaders // Available at: <http://www.anienetwork.org/content/globalization-and-higher-education-eight-common-perceptions-university-leaders>
- მიჩელი, ნილსენი, 2012 - Mitchell D.E., Nielsen S.Y. Internationalization and Globalization in Higher Education / D.E. Mitchell, S.Y. Nielsen // Globalization - Education and Management Agendas Ed. by Hector Cuadra-Montiel. – Rijeka: InTech, 2012. – P. 3-22.